



2734/3-98/22 2 25032022



2734/3-98/22

25-03-2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,


საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაფნარის საშუალო სკოლასთან დაკავშირებით.

რამდენიმე წლის წინ ისტორიული სკოლა, რომელშიც სწავლობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი აკაკი შანიძე, დაანგრეს და მოსახლეობას დაპირდნენ, რომ სკოლის ახალ შენობას ააშენებდნენ. თუმცა, დღეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სკოლის თემა აქტუალური არ არის.

გთხოვთ, გვაცნობოთ, როგორია განათლების სამინისტროს პოზიცია და გეგმები აღნიშნულ საკითხზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
დავით უსუფაშვილი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი  
MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



15/04/2022



MES 3 22 0000395124

საქართველოს პარლამენტის წევრს,  
ბატონ დავით უსუფაშვილს

**ბატონო დავით,**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 25 მარტის N2734/3-98/22 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N314592; 28.03.2022) პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 15 მარტის №191 ბრძანების საფუძველზე მოხდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაფნარის საჯარო სკოლის რეორგანიზაცია და მიუერთდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლას, რომელიც სწავლებას ახორციელებს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურზე.

ასევე სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით აუცილებლობას არ წარმოადგენს სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლის დეოპტიმიზაცია და ახალი სკოლის მშენებლობა სოფელ დაფნარში, რადგან საგრძნობლად შემცირებულია სასკოლო ასაკის მცხოვრებთა რაოდენობა, ხოლო სოფელ დაფნარში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირება სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბლა გომის საჯარო სკოლაში კვლავ სრულად და შეუფერხებლად ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში.

აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა დივერსიფიცირებულ მიდგომებზე, რაც ითვალისწინებს, თითოეული სათემო მუნიციპალიტეტისათვის შეთავაზებული იქნას მათ საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა საგანმანათლებლო მომსახურება.

**პატივისცემით,**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'M. Chikhenkeli', with a horizontal line drawn underneath the name.